## ყოველდღიური მსახურებების მომზადებაში მონაწილეობენ:

1. გიორგი მეტრეველი; 2. ნიკოლოზ ესიტაშვილი; 3. ნინო ბაკურაძე და 4. აკაკი ლიპარტელიანი.

კოორდინატორი და მოწოდებულ მასალაზე პასუხიმგებელი პირი: ფილოლოგიისა და თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი - დეკანოზი ბიძინა გუნია.

- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

ა) ინფორმაცია ლიტურგიკულ საკითხებზე შეგიძლიათ მოიძიოთ საპატრიარქოს განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე – *„ცნობარი მედავითნეებისთვის“* http://venakhi.ge/medavitne.html

ბ) კითხვები თქვენთვის საინტერესო ლიტურგიკულ საკითხებზე გამოგზავნეთ ელ-ფოსტაზე:

davati@venakhi.ge ან svetitskhoveli@gmail.com

გ) ინფორმაცია და პასუხები გარდა ზემოაღნიშნული ვებ-გვერდისა, იხილეთ აგრეთვე „ფეისბუკზე“

- მამა ბიძინა გუნია.

შენიშვნა: იხ. „საპატრიარქოს უწყებანი“ –
№36 (695) 31.10-6.11.2013წ. გვ. 4 და №37 (696) 7-13-11.2013წ. გვ. 5.

- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

2013 წელი 19 ნოემბერი — სულთმოფენობიდან 24-ე შვიდეული — 2 დეკემბერი

ძველი სტილით — ორშაბათი — ახალი სტილით

## ხსენება:

ღირ. მამისა ჩვენისა ილარიონ ქართველისა, საკვირველთმოქმედისა (875); წინასწარმეტყველისა აბდიასი (IX ს. ქრისტეს შობამდე); მოწ. ვარლაამისა და იოასაფისა, ინდოეთის მეფის ძისა და მამისა მისისა აბენერისა (IV); მოწ. აზასი და მისთანა 150-თა მხედართა (284-305); მოწამისა ილიოდორესი (დაახლ. 273).

ლიტ. - 1 თეს. 267 დას. II, 20 - III, 8. ლკ. 86 დას. XVII, 20-25. ღირ. - გალ. 213 დას. V, 22 - VI, 2. მთ. 10 დას. IV, 25 - V, 12.

საღამოს მსახურება: IX ჟამნი – მწუხრის ჟამნი – სერობის ჟამნი
ღამისთევის მსახურება: შუაღამის ჟამნი – ცისკრის ჟამნი – I ჟამნი
დღის მსახურება: III ჟამნი – VI ჟამნი – საღმრთო ლიტურგია

წლის ციკლის მსახურება აღესრულება - - - - სადღესასწაულოდან.
კვირის ციკლის - - - - - - - - - - - - - - - - - - - - პარაკლიტონიდან.
სადღეღამისო ციკლის - - - - - - - - - - - - - - - ჟამნიდან.

დროითი ინტერვალი: საპასექო წლის მე - 2 პერიოდი.
ტიპიკონი: შვიდეულის სადაგ დღეს „დიდებამაღალიანის“ (III რანგის) მსახურება. (უკეთუ ენებოს უპირატესს, მსახურება აღავლინოს IV რანგში. იხ. სადღესასწაული)
შენიშვნა: სერობისა და შუაღამის ჟამნები სამრევლო ტაძრებში არ აღესრულება.

- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

# IX ჟამნი:

- ტროპარი: აღდგომისა (ხმა 6) და წმ. პლატონისა
- კონდაკი: აღდგომისა

# მწუხრის ჟამნი:

- „მოვედით თაყვანის-ვსცეთ" - იკითხება.
- „აკურთხევს სული ჩემი უფალსა" (103 - ე ფსალმუნი) - იკითხება.
- რიგითი კანონი - არ აღესრულება.
- „უფალო ღაღად-ვჰყავ" (იგალობება 4 ჳმა - ზე).
- „უფალო ღაღად-ვჰყავ" - სა ზედა დასდებლები:
  - წმიდისა - **6 მუხლად** (I, II და III მუხლი - 2 გზის).

  „დიდება" - „მსგავსად სამოილისა ღმრთისა შეიწირე....." *(ჳმა 6).*

  „აწ და" - ღვთისმშობლისა **„დოგმატიკონი"** („დიდების" ხმის მიხედვით) - „ვინ არა გნატრიდეს შენ..." *(ჳმა 6).*
- შესვლა საცეცხლურით - არ აღესრულება.
- წარდგომა - დღისა.
- „სტიქარონსა" **ზედა დასდებელნი** - სადღესასწაულოდან, წმიდისა - **3 მუხლი** თავის ჩასართავებით.

  „დიდება" - *„ცხოვრება მაღალი წარმართენ ილარიონ....." (ჳმა 2).*

  „აწ და" - ღვთისმშობლისა **„აღდგომის"** („დიდების" ხმის მიხედვით იგივე „სტიქარონი"): *„ჰოი სასწაული ახალი..." (ჳმა 2).*
- „აწ განუტევე".
- შემდგომად „მამაო ჩვენოსი":

  **ტროპარი** - წმიდისა - „მადლი ჰპოვა სოფელმან..." - **1 გზის** *(ჳმა 5).*

  „დიდება" „აწ და" - ღვთისმშობლისა **„აღდგომის განსატევებელი"** (წმიდის ტროპრის ხმის მიხედვით): *„გიხაროდენ ბჭეო განუღებელო..." (ჳმა 5).*

# ცისკარის ჟამნი:

- „ღმერთი უფალი" (იგალობება მე - 8 ჳმაზე).

  **ტროპარი** წმიდისა - „მადლი ჰპოვა სოფელმან..."- **2 გზის** *(ჳმა 5).*

  „დიდება" „აწ და" - ღვთისმშობლისა **„აღდგომის განსატევებელი"** (წმიდის ტროპრის ხმის მიხედვით): *„გიხაროდენ ბჭეო განუღებელო..." (ჳმა 5).*
- რიგითი კანონები: **მე-4, მე-5** და **მე-6.**
- **I** და **II რიგითი კანონების შემდეგ** - აღესრულება მცირე კვერექსები.

– წარდგომები შემდგომად I და II სტიხოლოღიებისა - სადღესასწაულოდან
თავის „დიდება" „აწ და" - თი.
– წარდგომა შემდგომად III სტიხოლოღიისა - პარაკლიტონიდან
– ფსალმუნი 50 - ე

## საცისკრო კანონთა 9 ოდა (გალობა)

იკითხება 2 კანონი პარაკლიტონიდან (ორშაბათის ცისკრის) და I სადღესასწაულო თვენიდან.
I კანონი - პარაკლიტონიდან (ძლისპირი 1 გზის) - 4 მუხლად.
II კანონი - პარაკლიტონიდან - 4 მუხლად.
III კანონი - წმიდისა (სადღესასწაულოდან) - 6 მუხლად (ძლისპირის გარეშე).
– კატავასია - „აღაღე პირი ჩემი..."
– „უმცირესი" - „უგალობდით უფალსა".
– შემდგომად „განძლიერდასა" (III გალობისა):
- წარდგომა წმიდისა – „სიჩჩოთგან ღმერთსა შეევედრე..." – 2 გზის (*ჴმა 1*).
„დიდება"„აწ და" - ღვთისმშობლისა მისივე - „განაახლენ საზღვარნი..."
– შემდგომად „ღაღადყავსა" (VI გალობისა):
კონდაკი და იკოსი - წმიდისა (*ჴმა 5*).
– შემდგომად „აკურთხევდითსა" (VIII გალობისა): - „უპატიოსნესსა".
– შემდგომად „ადიდებდითსა" (IX გალობისა): - „ღირს არსი" არ იგალობება.
– „განმანათლებელი": წმიდისა - „ აღივსე ნათლიათა საღმრთოითა... " - 2 გზის
„დიდება" „აწ და" - ღვთისმშობლისა მისივე - „ გიხაროდენ მორწმუნწთა..."
– „ყოველი სული" - იგალობება.
– აქებდითსა ზედა დასდებელნი - 4 მუხლად (*ჴმა 4*) (სადღესასწაულოდან).
„დიდება" - „ქართველთ მზე მნათი..." (*ჴმა 4*).
„აწ და" - წინადღესასწაულისა - „ტაძარი ტაძრად ქალწული..." (*ჴმა 4*).
– „დიდება მაღალიანი" - იგალობება.
ტროპარი - წმიდისა - „ მადლი ჰპოვა სოფელმან..." - 1 გზის (*ჴმა 5*).
„დიდება"„აწ და" - ღვთისმშობლისა „აღდგომის განსატევებელი" (წმიდის ტროპრის ხმის მიხედვით): *„ გიხაროდენ ბჭეო განუღებელო..." (ჴმა 5).*

# I, III და VI ჟამნებზე

– ტროპარი და კონდაკი - ღირ. ილარიონ ქართველისა

## წმ. იოანე ოქროპირის

# საღმრთო ლიტურგია

– „გამომსახველობითი ანტიფონები".
– III აღსავალზე („ნეტარებების" გალობას) ჩაერთვის „მომიხსენენი" – 8 მუხლად:
III გალობიდან - 4 მუხლი.
VI გალობიდან - 4 მუხლი, თავისი „დიდება" „აწ და" - თი

„შესვლად":

ა) თუ ტაძარი მაცხოვრისა და ღვთისმშობლის სახელობისაა
ტროპრები: - ტაძრის.
- წმიდისა.
კონდაკები: - „დიდება" - წმიდისა.
„აწდა" - ტაძრის.
ბ) თუ ტაძარი წმიდის სახელობისაა
ტროპრები: - წმიდისა.
- ტაძრის წმიდის
კონდაკები: - „დიდება" - წმიდისა.
„აწდა" - „სასოო და შესავედრებელო..."

*წარდგომა, სამოციქულო, სახარება და განიცადე დღისა და წმიდის., ხოლო ალილუია - მხოლოდ წმიდის.*

წარდგომა *(ჴმა 7)* - „რომელმან შექმნა ანგელოზნი მისნი სულად და მსახურნი მისნი ალად ცეცხლისა" *(დღისა).*
მუხლი - „ აკურთხევს სული ჩემი უფალსა, უფალო ღმერთო ჩემო განსდიდენ ფრიად."
წარდგომა *(ჴმა 8)* – „პატიოსან არ წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთა" *(წმიდის).*

ალილუია *(ჴმა 1)* - „ნეტარ არს კაცი, რომელსა ეშინის უფლისა, მცნებათა შინა მისთა ინებოს ფრიად" *(წმიდის).*
მუხლი - „ძლიერ იყოს ქუეყანასა ზედა ნათესავი მისი და თესლი წრფელთა იკურთხოს".
განიცადე - „ რომელმან შექმნა ანგელოზნი მისნი სულად და მსახურნი მისნი ალად ცეცხლისა" *(დღისა).*

განიცადე - „ სახსენებელად საუკუნოდ იყოს მართალი, ჰამბავისაგან ბოროტისა არა ეშინოდის" *(წმიდის).*

---

2013 წელი 20 ნოემბერი სულთმოფენობიდან 24-ე შვიდეული 3 დეკემბერი

ძველი სტილით სამშაბათი ახალი სტილით

ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანების წინადღესასწაული.

## ხსენება:

ღირ. გრიგოლ დეკაპოლელისა (816); წმ. პროკლესი, კონსტანტინოპოლელი მთავარეპისკოპოსისა (446-447); მოწ. დასისა (284-305); მოწამეთა: ევსტათისა, თესპესისა და ანატოლისა (312); მღვდელმოწამეთა: ნერსე ეპისკოპოსისა და იოსებისა - მოწაფისა მისისა, იოანესი, სავერიოსისა, ისააკისა და იპატიოსისა, სპარსელ ეპისკოპოსთა; მოწამეთა: აზატი საჭურისისა, სასონისა, თეკლასი, ანასი და სხვათა მრავალთა მამათა და დედათა, სპარსეთს წამებულთა (343).

ლიტ. - 1 თეს. 268 დას. III, 9-13. ლკ. 87 დას. XVII, 26-37 (სამშ.). 1 თეს. 269 დას. IV, 1-12. ლკ. 90 დას. XVIII, 15-17, 26-30 (ოთხშ.). ღირ. - გალ. 213 დას. V, 22 - VI, 2. მთ. 10 დას. IV, 25 - V, 12.

საღამოს მსახურება: IX ჟამნი – მწუხრის ჟამნი – სერობის ჟამნი
ღამისთევის მსახურება: შუაღამის ჟამნი – ცისკრის ჟამნი – I ჟამნი
დღის მსახურება: III ჟამნი – VI ჟამნი – საღმრთო ლიტურგია

წლის ციკლის მსახურება აღესრულება - - - - სადღესასწაულოდან.
კვირის ციკლის - - - - - - - - - - - - - - - - - - - - არ აღესრულება.
სადღეღამისო ციკლის - - - - - - - - - - - - - - - ჟამნიდან.

დროითი ინტერვალი: საპასექო წლის მე - 2 პერიოდი.
ტიპიკონი: შვიდეულის სადაგ დღეს (ასევე შაბათს) „ორი წმიდის" მსახურება დღესასწაულის წინა.
შენიშვნა: სერობისა და შუაღამის ჟამნები სამრევლო ტაძრებში არ აღესრულება.
- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

# IX ჟამნი:

– ტროპარი: ღირ. ილარიონ ქართველისა
– კონდაკი: ღირ. ილარიონ ქართველისა

# მწუხრის ჟამნი:

– „მოვედით თაყვანის-ვსცეთ" - იკითხება.
– „აკურთხევს სული ჩემი უფალსა" (103 - ე ფსალმუნი) - იკითხება.
– რიგითი კანონი - მე-7.
– „უფალო ღაღად-ვჰყავ" (იგალობება მე - 4 ჴმაზე).
– „უფალო ღაღად-ვჰყავ" - სა ზედა დასდებლები:
 - 3 მუხლი წინადღესასწაულისა (სადღესასწაულოდან) *(ჴმა 1).*
 - 3 მუხლი ღირსისა (სადღესასწაულოდან) *(ჴმა 5).*
 „დიდება" „აწ და" - წინადღესასწაულისა - „დღეს ღმრთისა..." *(ჴმა 4)*
– შესვლა საცეცხლურით - არ აღესრულება.
– წარდგომა - დღისა.
– „სტიქარონსა" ზედა დასდებლები - სადღესასწაულოდან, წმიდისა
 - 3 მუხლი თავისი ჩასართავებით.
 „დიდება" აწ და" - წინადღესასწაულისა - „მოვედით ყოველნი..." *(ჴმა 4)*
– „აწ განუტევე".
– შემდგომად „მამაო ჩვენოსი":
 ტროპარი - წმიდათა - „ღმერთო მამათა ჩვენთაო..." - 1 გზის *(ჴმა 4).*
 „დიდება" „აწ და" - წინადღესასწაულისა - „სიხარულსა წინა..." *(ჴმა 4).*

# ცისკარი ჟამნი:

– „ღმერთი უფალი" (იგალობება მე - 8 ჴმაზე).
 ტროპარი წინადღესასწაულისა - „სიხარულსა წინა..."- 2 გზის *(ჴმა 4).*
 „დიდება" - წმიდათა - „ღმერთო მამათა ჩვენთაო..." *(ჴმა 4).*
 „აწ და" - წინადღესასწაულისა - „სიხარულსა წინა..." *(ჴმა 4).*
– რიგითი კანონები: მე-8 და მე-9.
– რიგითი კანონების შემდეგ - აღესრულება მცირე კვერექსები.
– წარდგომები შემდგომად სტიხოლოღიებისა - სადღესასწაულოდან თავის
 „დიდება" „აწ და" - თი
– ფსალმუნი 50 – ე.

## საცისკრო კანონთა 9 ოდა (გალობა)

იკითხება 1 კანონი სადღესასწაულოდან და 2 კანონი საზირო თვენიდან.
I კანონი - სადღესასწაულოდან (ძლისპირი 1 გზის) - 6 მუხლად.
II კანონი - ღირსისა (საზირო თვენიდან) - 4 მუხლად.
III კანონი - წმიდისა (საზირო თვენიდან) - 4 მუხლად.
– კატავასია მხოლოდ III, VI, VIII და IX ოდების (გალობების) შემდგომ

წმიდის ძლისპირი *(საზიარო თვენიდან).*

- „უმცირესი" - „უგალობდით უფალსა".
- შემდგომად „განძლიერდასა" (III გალობისა):

  კონდაკები - ღირსისა გრიგორისა და წმ. მღვდელმთავრისა პროკლესი.

  წარდგომა - ღირსისა გრიგორისა (საზირო თვენიდან).

  „დიდება" წარდგომა - წმიდისა მღვდელმთავრისა (საზირო თვენიდან).

  „აწ და" - წინადღესასწაულისა - „აქებდით ქალწულნო..." *(ჴმა 1).*
- შემდგომად „ღაღადყავსა" (VI გალობისა):

  კონდაკი და იკოსი - წინადღესასწაულისა *(ჴმა 4).*
- შემდგომად „აკურთხევდითსა" (VIII გალობისა): - „უპატიოსნესსა."
- შემდგომად „ადიდებდითსა" (IX გალობისა): - „ღირს არსი" არ იგალობება.

  „განმანათლებელი": ღირსისა გრიგორისა - (საზირო თვენიდან).

  „დიდება" „აწ და" - განმანათლებელი წინადღესასწაულისა - „დღეს წინა ვდღესასწაულობდეთ..."
- „აქებდით უფალსა ცათაგან" - იკითხება (დასდებლების გარეშე).
- „ადვივსენითსა" ზედა დასდებელნი წინადღესასწაულისა 3 მუხლად თავისი ჩასართავებით *(ჴმა 1).*

  „დიდება" აწ და" - წინადღესასწაულისა - იხარებდით დღეს ცანი..." *(ჴმა 4)*
- „დიდება მაღალიანი" - იკითხება.
- „კეთილ არს აღსარებად უფლისა"- 1 გზის.

  ტროპარი - წმიდათა - „ღმერთო მამათა ჩვენთაო..." - 1 გზის *(ჴმა 4).*

  „დიდება" „აწ და" - წინადღესასწაულისა - „სიხარულსა წინა..." *(ჴმა 4).*

# I, III და VI ჟამნებზე

- ტროპრები: წინადღესასწაულისა და წმიდათა.
- კონდაკი: წინადღესასწაულისა

## წმ. იოანე ოქროპირის
## საღმრთო ლიტურგია

- „გამომსახველობითი ანტიფონები"
- III აღსავალზე („ნეტარებების" გალობას) ჩაერთვის „მომიხსენენი" - 8 მუხლად:

  წინადღესასწაულის კანონის III და VI გალობებიდან - 8 მუხლი.

  თავისი „დიდება" „აწ და" - თი.

„შესვლად":

ა) მაცხოვრის სახელობის ტაძრებში:

ტროპრები: - ტაძრისა.
- წინადღესასწაულისა.
- წმიდათა.

კონდაკები: - ტაძრის.
„დიდება" - წმიდათა.
„აწდა" - წინადღესასწაულის.

ბ) ღმრთისმშობლის სახელობის ტაძრებში:

ტროპრები: - წინადღესასწაულის.
- წმიდათა.

კონდაკები: - „დიდება" - წმიდათა.
„აწდა" - წინადღესასწაულის.

გ) წმიდის სახელობის ტაძრებში:

ტროპრები: - წინადღესასწაულისა.
- ტაძრის წმინდისა.
- წმიდათა.

კონდაკები: - ტაძრის.
„დიდება" - წმიდათა.
„აწდა" - წინადღესასწაულის.

*წარდგომა, სამოციქულო, სახარება და განიცადე დღისა და წმიდის., ხოლო ალილუია - მხოლოდ წმიდის.*

წარდგომა (*ხმა 7*) - „იხარებდეს მართალი უფლისა მიმართ და ესვიდეს მას" (დღის).
მუხლი - „შეისმინე ღმერთო ხმისა ჩემისა, გევედრებოდი რაიმე შენდამი".
წარდგომა (ხმა 2) - „პირი ჩემი იტყოდეს სიბრძნესა და ზრახვანი გულისა ჩემისა-ნი გულისხმისყოფასა" *(წმიდის).*
ალილუია (*ხმა 1*) - „პირმან მართლისამან იწუართნოს სიბრძნე" *(წმიდის).*
მუხლი - „სჯული ღმრთისი მისისა არს გულსა შინა მისსა."

განიცადე - „ სახსენებელად საუკუნოდ იყოს მართალი, ჰამბავისაგან ბოროტისა არა ეშინოდის" *(დღისა და წმიდისა ემთხვევა ერთმანეთს).*

---

2013 წელი 21 ნოემბერი სულთმოფენობიდან 24-ე შვიდეული 4 დეკემბერი

ძველი სტილით ოთხშაბათი ახალი სტილით

ტაძრად მიყვანება ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა.

ცისკ. - ლკ. 4 დას. I, 39-49, 56. ლიტ. - ღმრთისმშობლისა. - ებრ. 320 დას. IX, 1-7. ლკ. 54 დას. X, 38-42; XI, 27-28.

საღამოს მსახურება: IX ჟამნი – მცირე მწუხრი
ღამისთევის მსახურება: დიდი მწუხრი – დიდი ცისკარი – I ჟამნი
დღის მსახურება: III ჟამნი – VI ჟამნი – საღმრთო ლიტურგია

წლის ციკლის მსახურება აღესრულება - - - - სადღესასწაულოდან.
კვირის ციკლის - - - - - - - - - - - - - - - - - - - არ აღესრულება.
სადღეღამისო ციკლის - - - - - - - - - - - - - - - ჟამნიდან.

დროითი ინტერვალი: საპასექო წლის მე - 2 პერიოდი.
ტიპიკონი: შვიდეულის სადაგ დღეს „ღამისთევის" (VI რანგის) მსახურება.
- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

# IX ჟამნი:

– ტროპარი: წინადღესასწაულისა და წმიდისა.
– კონდაკი: წინადღესასწაულისა.

# დიდი მწუხრი:

– „მოვედით თაყვანის-ვსცეთ" - იგალობება.
– „აკურთხევს სული ჩემი უფალსა" (103 ფსალმუნი) - იგალობება.
– „ნეტარ არს კაცი" *(I აღსავალი).*
– „უფალო ღაღად-ვჰყავ" (იგალობება 4 *ჳმა* - ზე).
– „უფალო ღაღად-ვჰყავ" - სა ზედა დასდებელნი:
  - ღვთისმშობლისა - 8 მუხლად.
  „დიდება" „აწ და" - ღვთისმშობლისა - „შემდგომად შობისა მის..." *(ჳმა 8).*
– შესვლა საცეცხლურით.
– წარდგომა - დღისა.
– საწინასწარმეტყველო - 3 (იხ. სადღესასწაულო).
– „ლიტიასა" ზედა დასდებელნი - *(სადღესასწაულოდან) (ჳმა 1) (ჳმა 4).*
– „სტიქარონსა" ზედა დასდებელნი : 3 მუხლი დღესასწაულისა თავის ჩასართავებით.

„დიდება" „აწ და" - „ მოვედით დღეს კრებულნო მორწმუნეთანო…" (ჴმა 6).
– „აწ განუტევე".
– შემდგომად „მამაო ჩვენოსი":
ტროპარი დღესასწაულისა - „დღეს განგებულებისა…" - 3 გზის (ჴმა 4).
– პურის კურთხევა.

# დიდი ცისკარი:

– „ღმერთი უფალი" (იგალობება მე - 4 ჴმაზე).
ტროპარი დღესასწაულისა - „დღეს განგებულებისა…" - 2 გზის (ჴმა 4).
„დიდება" „აწ და" - იგივე ტროპარი.
– რიგითი კანონები: მე - 10 და მე - 11.
– რიგითი კანონების შემდეგ - მცირე კვერექსები აღესრულება.
– წარდგომები შემდგომად სტიხოლოღიებისა - სადღესასწაულოდან თავისი „დიდება" „აწდა" - თი.
– იგალობება „სადიდებელი" (მე- 19 კანონის - 134-ე და 135-ე ფსალმუნთა გამოკრებილი მუხლები).
– „გადიდებსა" და გამოკრებილი მუხლები დავითნიდან.
– შემდგომად სადიდებელისა წარდგომა - „იხარებს დავით…" (ჴმა 8).
„დიდება" „აწ და" – იგივე.
– აღსავალი I, ჴმაჲ 4 კვირის ცისკრისა: „სიყრმით ჩემითგან…."
– წარდგომა (საცისკრო სახარებისა): „ისმინე ასულო და იხილე და მოყავ ყური შენი" (ჴმა 4).
მუხლი: „აღმოსთქვა გულმან ჩემმა სიტყვა კეთილი."
– საცისკრო სახარება.
– 50 - ე ფსალმუნი
„დიდება" - „დღეს ტაძარი სულიერი…" (ჴმა 2) „აწ და" - იგივე.
შემდგომად 50 – ე ფსალმუნისა, დასდებელი - „დღეს ღმრთისა…" (ჴმა 4).

## საცისკრო კანონთა 9 ოდა (გალობა)

იკითხება 2 კანონი დღესასწაულისა.
I კანონი – დღესასწაულისა - 8 მუხლი (ძლისპირი 2 - 2 გზის).
II კანონი – დღესასწაულისა - 8 მუხლი (ძლისპირი 2 - 2 გზის).
– კატავასია - „ქრისტე შობასა ვადიდებდეთ…"
– „უმცირესი" - „უგალობდით უფალსა".
– შემდგომად „განძლიერდასა" (III გალობისა):
- წარდგომა (სადღესასწაულოდან) - „ღაღად-ჰყავ დავით, რაი არს…" (ჴმა 4).
„დიდება" „აწ და" - „უბიწო ტარიგი და შეუგინებელი…"
– შემდგომად „ღაღადყავსა" (VI გალობისა):
კონდაკი და იკოსი – დღესასწაულისა (ჴმა 4).
– შემდგომად „აკურთხევდითსა" (VIII გალობისა) - „უპატიოსნესსა" არ იგალობება. ნაცვლად „უპატიოსნესსა" გუნდი გალობს ჩასართავს და IX გალობის ძლისპირს: „კიდობანსა მას სჯულისასა…"

– შემდგომად „ადიდებდითსა" (IX გალობისა):

„განმანათლებელი": „რომელმანცა პირველად მოასწავეს... ",

„დიდება" – იგივე, „აწ და" – იგივე.

– „ყოველი სული" - იგალობება.

– აქებდითსა ზედა დასდებელნი - 4 მუხლად *(ჴმა 1).*

„დიდება" „აწ და" - *„დღეს ტაძრად მიიყვანების ყოვლად უბიწო..." (ჴმა 2).*

– „დიდება მაღალიანი" - იგალობება.

ტროპარი დღესასწაულისა - „დღეს განგებულებისა..." – 1 გზის *(ჴმა 4).*

# I, III და VI ჟამნებზე

– ტროპარი და კონდაკი - დღესასწაულისა.

# წმ. იოანე ოქროპირის საღმრთო ლიტურგია

– „გამომსახველობითი ანტიფონები"

– III აღსავალზე („ნეტარებების" გალობის დროს) ჩაერთვის „მომიხსენენი" – 8 მუხლად:

დღესასწაულის III გალობიდან - 4 მუხლი.

დღესასწაულის VI გალობიდან - 4 მუხლი, თავისი „დიდება" „აწ და" – თი

„შესვლად":

ტროპარი: - დღესასწაულისა .

კონდაკი: - დღესასწაულისა.

*წარდგომა, სამოციქულო, სახარება და განიცადე მხოლოდ დღესასწაულისა.*

წარდგომა *(ჴმა 3)* – „ადიდებს სული ჩემი უფალსა და განიხარა სულმან ჩემმან ღმრთისა მიმართ მაცხოვრისა ჩემისა".

მუხლი: „რამეთუ მოხედნა სიმდაბლეს ზედა მხევლისა თვისისასა, რამეთუ აჰა ესერა ამიერითგან მნატრიდენ მე ყოველნი ნათესავნი".

ალილუია *(ჴმა 8)* - „ისმინე ასულო და იხილე და მოყავ ყური შენი".

მუხლი - „პირსა შენსა ლიტანიობდნენ მდიდარნი ერისანი".

განიცადე - „სასმელი ცხოვრებისა მოვიღოთ და სახელსა უფლისასა ვხადოთ"

---

2013 წელი 22 ნოემბერი სულთმოფენობიდან მე-24 შვიდეული 5 დეკემბერი

ძველი სტილით ხუთშაბათი ახალი სტილით

ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანების შემდგომი დღესასწაული.

ხსენება:

მოც. ფილიმონისა და არქიპოსი - სამოცდაათთაგანთა და მოც. სწორისა მოწ. აპფიასი (I); მოწ. კიკილიასი (ცეცილიასი), ვალერიანესი, ტიბურტისა და მაქსიმესი (დაახლ. 230); მოწ. პროკოფი წიგნისმკითხველისა (303); მოწ. მენიგნისა (250); ღირ. აგაბო ისმაიტელისა (V); მართლისა მიქაელ მხედრისა, ბულგარელისა (866); კეთილმორწმუნე მთავრისა მიხეილ ტვერელისა (1318).

ლიტ. - 1 თეს. 271 დას. V, 1-8. ლკ. 92 დას. XVIII, 31-34. მოც. - ფილმ. 302 დას. I, 1 -25. ლკ. 50 დას. X, 1-15

საღამოს მსახურება: IX ჟამნი – მწუხრის ჟამნი – სერობის ჟამი
დილის მსახურება: შუაღამის ჟამი – ცისკრის ჟამნი – I ჟამნი
დღის მსახურება: III ჟამნი – VI ჟამნი – საღმრთო ლიტურგია

წლის ციკლის მსახურება აღესრულება - სადღესასწაულოდან და საზიარო თვენიდან.
კვირის ციკლის - - - - - - - - - - - - - - - - არ აღესრულება.
სადღეღამისო ციკლის - - - - - - - - - - - - ჟამნიდან.

დროითი ინტერვალი: საპასექო წლის მე - 2 პერიოდი.
ტიპიკონი: შვიდეულის სადაგ დღეს (ასევე შაბათს) „მცირე წმიდის" (I რანგის) მსახურება დღესასწაულის შემდგომ პერიოდში.
შენიშვნა: სერობისა და შუაღამის ჟამნები სამრევლო ტაძრებში არ აღესრულება.

# IX ჟამნი:

– ტროპარი: დღესასწაულისა.
– კონდაკი: დღესასწაულისა.

# მწუხრის ჟამნი:

– „მოვედით თაყვანის-ვსცეთ" - იკითხება.
– „აკურთხევს სული ჩემი უფალსა" (103 ფსალმუნი) - იკითხება.
– რიგითი კანონი - არ იკითხება
– „უფალო ღაღად-ვჰყავ" (იგალობება 8 ჰმა - ზე).
– „უფალო ღაღად-ვჰყავ" - სა ზედა დასდებლები - 6 მუხლად.

- 3 მუხლი - დღესასწაულისა *(სადღესასწაულოდან) (ჴმა 8).*
- 3 მუხლი მოციქულთა *(საზიარო თვენიდან) (ჴმა 4).*

„დიდება",„აწ და" - დღესასწაულისა - *„იხარებდით დღეს ცანი ზეგარდამო..." (სადღესასწაულოდან) (ჴმა 1).*

– შესვლა საცეცხლურით - არ აღესრულება.
– წარდგომა – დღისა.
– „სტიქარონსა" ზედა დასდებლები: დღესასწაულისა 3 მუხლი თავის ჩასართავებით *(სადღესასწაულოდან) (ჴმა 2).*

„დიდება",„აწ და" – დღესასწაულისა: *„დღეს ტაძრად მოიყვანების, ყოვლად უბიწო ქალწული..." (სადღესასწაულოდან).*

– „აწ განუტევე".
– შემდგომად „მამაო ჩვენოსი":

ტროპარი მოციქულთა - „მოციქულნო წმიდანო ევედრენით..." *(ჴმა 3).*
„დიდება",„აწ და" - დღესასწაულისა - *„დღეს განგებულებისა..." (ჴმა 4).*

# ცისკრის ჟამნი:

– „ღმერთი უფალი" (იგალობება მე - 4 ჴმაზე).

ტროპარი - დღესასწაულისა - „დღეს განგებულებისა..." - 2 გზის *(ჴმა 4).*
„დიდება" - მოციქულთა - „მოციქულნო წმიდანო ევედრენით..." *(ჴმა 3).*
„აწ და" - დღესასწაულისა - *„დღეს განგებულებისა ღმრთისა..." (ჴმა 4).*

– რიგითი კანონები: მე - 13 და მე - 14.
– რიგითი კანონების შემდეგ - მცირე კვერექსი აღესრულება.
– წარდგომები შემდგომად სტიხოლოღიებისა – სადღესასწაულოდან.

„დიდება" „აწ და"- იგივე.

– 50 - ე ფსალმუნი.

## <u>საცისკრო კანონთა 9 ოდა (გალობა)</u>

იკითხება 2 კანონი, დღესასწაულისა და წმიდისა (სადღესასწაულოდან)

I კანონი - დღესასწაულისა - 8 მუხლად *(ჴმა 4) (ძლისპირი - 2 გზის).*
II კანონი - წმიდის - 4 მუხლად *(საზიარო თვენიდან) (ძლისპირის გარეშე).*

– კატავასია მხოლოდ III, VI, VIII და IX ოდების (გალობების) შემდგომ რიგის წმიდის ძლისპირი *(საზიარო თვენიდან).*
– „უმცირესი" - „უგალობდით უფალსა."
– შემდგომად „განძლიერდასა" (III გალობისა):
  - კონდაკი მოციქულთა - „ვითარცა ვარსკვლავთა..."(სადღესასწაულოდან) *(ჴმა 2).*
  - წარდგომა მოციქულთა - „უფსკრულსა სიბრძნისასა დაემოწაფენით და განაბრძვენით..." *(ჴმა 4) (საზიარო თვენიდან)*

„დიდება",„აწ და" - დღესასწაულისა - „იხარებს დავით მგალობელი..." *(ჴმა 8).*

– შემდგომად „ღაღადყავსა" (VI გალობისა):

- კონდაკი და იკოსი დღესასწაულისა.
– შემდგომად „აკურთხევდითსა” (VIII გალობისა): - „უპატიოსნესსა.”
– შემდგომად „ადიდებდითსა” (IX გალობისა): - „ღირს არსი” არ იგალობება
– „განმანათლებელი”: დღესაწაულისა *(სადღესასწაულოდან).*

„დიდება”„აწ და” - იგივე.
– „აქებდით უფალსა ცათაგან” - იკითხება (დასდებლების გარეშე).

„დიდება” „აწ და” - „შენდა დიდება შვენის ქრისტე ღმერთო ჩვენო...”
– „დიდება მაღალიანი” - იკითხება.
– „აღვივსენითსა” ზედა დასდებელნი - 3 მუხლი დღესასწაულისა, თავის ჩასართავებით.

„დიდება” „აწ და” - „დღეს ტაძარი იგი ღმრთისა...”

– „კეთილ არს აღსარებად უფლისა.” - 1 გზის

ტროპარი წმიდისა - „მოციქულნო წმიდანო ევედრენით...” *(ჴმა 3).*

„დიდება” „აწ და” - დღესასწაულისა - *„დღეს განგებულებისა...” (ჴმა 4).*

# I, III და VI ჟამნებზე

– ტროპრები: დღესასწაულისა და მოციქულთა.
– კონდაკი: დღესაწაულისა.

# წმ. იოანე ოქროპირის
# საღმრთო ლიტურგია

– „გამომსახველობითი ანტიფონები”.
– III აღსავალზე („ნეტარებების” გალობის დროს) ჩაერთვის „მომიხსენენი” – 8 მუხლად.

- დღესასწაულის I გალობიდან - 4 მუხლი.
- წმიდისა III გალობიდან - 4 მუხლი თავის „დიდება” „აწ და” – თი.

„შესვლად”:

ა) თუ ტაძარი მაცხოვრის სახელობისაა

ტროპრები: - ტაძრის.
- დღესასწაულის.
- რიგის წმიდის.

კონდაკები: - ტაძრის.

„დიდება” - რიგის წმიდის.

„აწ და” - დღესასწაულის.

ბ) თუ ტაძარი ღვთისმშობლის სახელობისაა

ტროპრები: - დღესასწაულის.

- რიგის წმიდის.

კონდაკები: - „დიდება" - რიგის წმიდის.
„აწ და" - დღესასწაულის.

გ) თუ ტაძარი წმიდის სახელობისაა

ტროპრები: - დღესასწაულის.
- ტაძრის წმიდის.
- რიგის წმიდის.

კონდაკები: - ტაძრის წმიდის.
„დიდება" - რიგის წმიდის.
„აწ და" - დღესასწაულის.

**წარდგომა, ალილუია და განიცადე - დღესასწულის და წმიდისა.**

წარდგომა *(ჴმა 4)* - „ადიდებს სული ჩემი უფალსა და განიხარა სულმან ჩემმან ღმრთისა მიმართ მაცხოვრისა ჩემისა" *(დღესასწაულის).*

მუხლი - „რამეთუ მოჰხედნა სიმდაბლესა ზედა მხევლისა თვისისასა, რამეთუ აჰა ესერა ამიერითგან მნატრიდენ მე ყოველნი ნათესავნი."

წარდგომა *(ჴმა 8)* - „ყოველსა ქვეყანასა განხდა ხმა მათი და კიდეთა სოფლისათა სიტყვანი მათნი" *(წმიდის).*

ალილუია *(ჴმა 8)* - „ისმინე ასულო და იხილე და მოჰყავ ყური შენი" *(დღესასწაულის).*

მუხლი - „პირსა შენსა ლიტანიობდნენ მდიდარნი ერისანი."

ალილუია *(ჴმა 1)* - „აღიარებენ ცანი საკვირველებათა შენთა უფალო და ჭეშმარიტებასა შენსა ეკლესიასა შინა წმიდათასა" *(წმიდისა).*

განიცადე - „სასუმელი ცხოვრებისა მოვიღოთ და სახელსა უფლისასა ვხადოთ" *(დღესასწაულის).*

განიცადე – „ყოველსა ქვეყანასა განხდა ხმა მათი და კიდეთა სოფლისათა სიტყვანი მათნი" *(წმიდისა).*

<u>შენიშვნა</u>: **„ღირს არსის"** ნაცვლად იგალობება დღესასწაულისა ჩასართავი და IX გალობის ძლისპირი.
ჩასართავი - „ანგელოზთა რა იხილეს შესვლა ყოვლადწმიდისა..."
ძლისპირი - „კიდობანსა მას სჯულისასა..."

---

2013 წელი 23 ნოემბერი სულთმოფენობიდან მე-23 შვიდეული 6 დეკემბერი

ძველი სტილით პარასკევი ახალი სტილით

ხსენება:

მოწ. გრიგოლ არქიმანდრიტისა, ოსვენციმის ბანაკში აღსრულებულისა (1942); წმ. ამფილოქესი, იკონიელი ეპისკოპოსისა (394); წმ. გრიგოლისა, აკრაგანტელი ეპისკოპოსისა (VI-VII); მოწამეთა სისინიოსისა, კვიზიკელი ეპ. (III) და თეოდორე ანტიოქიელისა (IV); კეთილმორწმუნე მთავრისა ალექსანდრე ნეველისა (1263).

ლიტ. - 1 თეს. 272 დას. V, 9-13, 24-28. ლკ. 95 დას. XIX, 12-28. მოწ. - 2 ტიმ. 292 დას. II, 1-10. ინ. 52 დას. XV, 17 – XVI, 2

საღამოს მსახურება: IX ჟამნი – მწუხრის ჟამნი – სერობის ჟამნი
დილის მსახურება: შუაღამის ჟამი – ცისკრის ჟამნი – I ჟამნი
დღის მსახურება: III ჟამნი – VI ჟამნი – საღმრთო ლიტურგია

წლის ციკლის მსახურება აღესრულება - სადღესასწაულოდან და საზიარო თვენიდან.
კვირის ციკლის - - - - - - - - - - - - - - - - - არ აღესრულება.
სადღეღამისო ციკლის - - - - - - - - - - - - - ჟამნიდან.

დროითი ინტერვალი: საპასექო წლის მე - 2 პერიოდი.
ტიპიკონი: შვიდეულის სადაგ დღეს (ასევე შაბათს) „მცირე წმიდის" (I რანგის) მსახურება დღესასწაულის შემდგომ პერიოდში.
შენიშვნა: სერობისა და შუაღამის ჟამნები სამრევლო ტაძრებში არ აღესრულება.

- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

# IX ჟამნი:

– ტროპრები: დღესასწაულისა და მოწამისა.
– კონდაკი: დღესასწაულისა.

# მწუხრის ჟამნი:

– „მოვედით თაყვანის-ვსცეთ" - იკითხება.
– „აკურთხევს სული ჩემი უფალსა" (103 ფსალმუნი) - იკითხება.
– რიგითი კანონი - მე 18.
– „უფალო ღაღად-ვჰყავ" (იგალობება 4 ჰმა - ზე).
– „უფალო ღაღად-ვჰყავ" - სა ზედა დასდებლები - 6 მუხლად.

- 3 მუხლი - დღესასწაულისა *(სადღესასწაულოდან) (ჴმა 4) (იხ. 21 ნოემბერი).*
- 3 მუხლი - მოწამისა *(საზიარო თვენიდან) (ჴმა 4).*

„დიდება"„აწ და" - დღესასწაულისა - *„მოვედით ყოველნი მორწმუნენი, მხოლოსა უზიწოსა..." (სადღესასწაულოდან) (ჴმა 4).*

– შესვლა საცეცხლურით - არ აღესრულება.

– წარდგომა - დღისა.

–„სტიქარონსა" ზედა დასდებლები: 3 მუხლი დღესასწაულისა თავის ჩასართავებით *(სადღესასწაულოდან) (ჴმა 1).*

„დიდება" „აწ და" - დღესასწაულისა *„აღმობრწყინდა დღეს სიხარული და დღესასწაული..." (სადღესასწაულოდან) (ჴმა 5).*

– „აწ განუტევე".

– შემდგომად „მამაო ჩვენოსი":

ტროპარი მოწამისა - „მოწამემან შენმან უფალო, გრიგოლ..." *(ჴმა 4).*

„დიდება"„აწ და" - დღესასწაულისა - *„დღეს განგებულებისა..." (ჴმა 4).*

# ცისკრის ჟამნი:

– „ღმერთი უფალი" (იგალობება მე - 4 ჴმაზე).

ტროპარი დღესასწაულისა - „დღეს განგებულებისა..." - 2 გზის *(ჴმა 4).*

„დიდება" ტროპარი მოწამისა - „მოწამემან შენმან უფალო..." *(ჴმა 4).*

„აწ და" - დღესასწაულისა - *„დღეს განგებულებისა..." (ჴმა 4).*

– რიგითი კანონები: მე – 19 და მე - 20.

– რიგითი კანონების შემდეგ - მცირე კვერექსები აღესრულება.

– წარდგომები შემდგომად სტიხოლოღიებისა - სადღესასწაულოდან

„დიდება" „აწ და"- იგივე.

– 50 - ე ფსალმუნი.

## <u>საცისკრო კანონთა 9 ოდა (გალობა)</u>

იკითხება 2 კანონი. დღესასწაულისა და წმიდისა.

I კანონი - დღესასწაულისა - 8 მუხლად *(ძლისპირი - 2 გზის) (სადღესასწაულოდან).*

II კანონი - წმიდის - 4 მუხლად *(საზიარო თვენიდან) (ძლისპირის გარეშე).*

– კატავასია მხოლოდ III, VI, VIII და IX ოდების (გალობების) შემდგომ რიგის წმიდის ძლისპირი *(საზიარო თვენიდან).*

– „უმცირესი" – „უგალობდით უფალსა."

– შემდგომად „განძლიერდასა" (III გალობისა):

– კონდაკი - მოწამისა - „ვარსკულავი ელვარე აღმოხედ...."(საზიარო).

*<u>**შენიშვნა**</u>: საეკლესიო ტიბიკონის მოთხოვნის შესაბამისად, კონდაკის შემდეგ **იკოსიც** უნდა იქნას ამოკითხული, რასაც ვერ ვახერხებთ, რადგან საზიარო თვენში იგი მითითებული არ არის.*

- წარდგომა - მოწამისა - „ვითარეცა ოქრო..." *(ჴმა 1) (საზიარო თვენიდან).*

„დიდება" „აწ და" - დღესასწაულისა - „დავით განუმზადე, გზა..." *(ჴმა 4).*

– შემდგომად „ღაღადყავსა" (VI გალობისა): - კონდაკი და იკოსი დღესასწაულისა.

– შემდგომად „აკურთხევდითსა” (VIII გალობისა): - „უპატიოსნესსსა.”
– შემდგომად „ადიდებდითსა” (IX გალობისა): - „ღირს არსი” არ იგალობება
– „განმანათლებელი” დღესაწაულისა: „რომელიცა პირველად...”*(სადღესასწაულო დან).*

„დიდება” „აწ და” - იგივე.

– „აქებდით უფალსა ცათაგან” - იკითხება (დასდებლების გარეშე).

„დიდება” „აწ და” - „შენდა დიდება შვენის ქრისტე ღმერთო ჩვენო...”

– „დიდება მაღალიანი” - იკითხება.
– „აღვივსენითსა” ზედა დასდებელნი - 3 მუხლი დღესასწაულისა, თავის ჩასართავებით *(ჴმა 2).*

„დიდება” „აწ და” დღესასწაულისა - „მოვედით დღეს...” *(ჴმა 6).*

– „კეთილ არს აღსარებად უფლისა” - 1 გზის.

ტროპარი მოწამისა - „მოწამემან შენმან უფალო, გრიგოლ...” *(ჴმა 4).*

„დიდება” „აწ და” - დღესასწაულისა - *„დღეს განგებულებისა...” (ჴმა 4).*

# I, III და VI ჟამნებზე

– ტროპრები: დღესასწაულისა და მოწამისა.
– კონდაკი: დღესაწაულისა.

# წმ. იოანე ოქროპირის
# საღმრთო ლიტურგია

– „გამომსახველობითი ანტიფონები”.
– III აღსავალზე („ნეტარებების” გალობის დროს) ჩაერთვის „მომიხსენენი” - 8 მუხლად.

- დღესასწაულის IV გალობიდან - 4 მუხლი.
- წმიდისა VI გალობიდან - 4 მუხლი, თავის „დიდება” „აწ და” - თი

„შესვლად”:

ა) თუ ტაძარი მაცხოვრის სახელობისაა

ტროპრები: - ტაძრის.
- დღესასწაულის.
- რიგის წმიდის.

კონდაკები: - ტაძრის.

„დიდება” - რიგის წმიდის

„აწ და” - დღესასწაულის.

ბ) თუ ტაძარი ღვთისმშობლის სახელობისაა

ტროპრები: - დღესასწაულის.
- რიგის წმიდის.

კონდაკები: - „დიდება" - რიგის წმიდის
„აწ და" - დღესასწაულის

გ) თუ ტაძარი წმიდის სახელობისაა
ტროპრები: - დღესასწაულის
- ტაძრის წმიდის
- რიგის წმიდის.
კონდაკები: - ტაძრის წმიდის.
„დიდება" - რიგის წმიდის
„აწ და" - დღესასწაულის

წარდგომა, ალილუია და განიცადე - დღესასწულის და წმიდისა.
წარდგომა *(ჴმა 4)* - „ადიდებს სული ჩემი უფალსა და განიხარა სულმან ჩემმან ღმრთისა მიმართ მაცხოვრისა ჩემისა" *(დღესასწაულის).*
მუხლი - „რამეთუ მოჰხედნა სიმდაბლესა ზედა მხევლისა თვისისასა, რამეთუ აჰა ესერა ამიერითგან მნატრიდენ მე ყოველნი ნათესავნი."
წარდგომა *(ჴმა 7)* - „იხარებდეს მართალი უფლისა მიმართ და ესვიდეს მას" *(წმიდის).*

ალილუია *(ჴმა 8)* - „ისმინე ასულო და იხილე და მოჰყავ ყური შენი" *(დღესასწაულის).*
მუხლი - „პირსა შენსა ლიტანიობდნენ მდიდარნი ერისანი."
ალილუია *(ჴმა 4)* - „მართალი ვითარცა ფინიკი აღყვავნეს და ვითარცა ნაძვი ლიბანისა განმრავლდეს" *(წმიდისა).*
განიცადე - „სასუმელი ცხოვრებისა მოვიღოთ და სახელსა უფლისასა ვხადოთ" *(დღესასწაულის).*

განიცადე - „სახსენებელად საუკუნოდი იყოს მართალი ამბავისაგან ბოროტისა არა ეშინოდის" *(წმიდისა).*

<u>შენიშვნა</u>: „ღირს არსის" ნაცვლად იგალობება დღესასწაულისა ჩასართავი და IX გალობის ძლისპირი.
ჩასართავი - „ანგელოზთა რა იხილეს შესვლა ყოვლადწმიდისა..."
ძლისპირი - „კიდობანსა მას სჯულისასა..."

---

2013 წელი 24 ნოემბერი სულთმოფენობიდან მე-23 შვიდეული 7 დეკემბერი

ძველი სტილით შაბათი ახალი სტილით

## ხსენება:

დიდმოწ. მერკურისა (III); დიდმოწ. ეკატერინესი (305-313); მოწ. ავგუსტასი, პორფირიოს სტრატილატისა და 200-თა მხედართა (305-313); ღირ. მასტრიდიასი; მოწ. ფილოთეასი (1060) (რუმინ).

ლიტ. - დიდმოწ. - ეფ. 233 დას. VI, 10-17. ლკ. 106 დას. XXI, 12-19. რიგ. – 2 კორ. 191 დას. XI, 1-6. ლკ. 51 დას. (შუათგან) X, 19-21.

საღამოს მსახურება: IX ჟამნი – მწუხრის ჟამნი – სერობის ჟამნი
დილის მსახურება: შუაღამის ჟამნი – ცისკრის ჟამნი – I ჟამნი
დღის მსახურება: III ჟამნი – VI ჟამნი – საღმრთო ლიტურგია

წლის ციკლის მსახურება აღესრულება - - - - სადღესასწაულოდან.
კვირის ციკლის - - - - - - - - - - - - - - - - - - - - პარაკლიტონიდან.
სადღეღამისო ციკლის - - - - - - - - - - - - - - - ჟამნიდან.

<u>დროითი ინტერვალი</u>: საპასექო წლის მე - 2 პერიოდი.
<u>ტიპიკონი</u>: შაბათის „ორი წმიდის" მსახურება (დღესასწაულის შემდგომ პერიოდში).
<u>შენიშვნა:</u> სერობისა და შუაღამის ჟამნები სამრევლო ტაძრებში არ აღესრულება.

# IX ჟამნი:

– ტროპარი: მოწ. გრიგოლ არქიმანდრიტისა.
– კონდაკი: მოწ. გრიგოლ არქიმანდრიტისა.

# მწუხრის ჟამნი:

– „მოვედით თაყვანის-ვსცეთ" - იკითხება.
– „აკურთხევს სული ჩემი უფალსა" (103-ე ფსალმუნი) - იკითხება.
– რიგითი კანონი - მე-18.
– „უფალო ღაღად-ვჰყავ" (იგალობება მე - 1 ხმაზე).
– „უფალო ღაღად-ვჰყავ" - სა ზედა დასდებელნი - 6 მუხლად.
  - 3 მუხლი დიდმოწ. ეკატერინესი (სადღესასწაულოდან) *(ჭმა 1).*
  - 3 მუხლი დიდმოწ. მერკურისა (სადღესასწაულოდან) *(ჭმა 4).*
  „დიდება" - დიდმოწ. ეკატერინესი: „განმხიარულებულნი სულითა შემოკერბით..." *(სადღესასწაულოდან) (ჭმა 2).*
  „აწ და" - ღვთისმშობლისა „დოგმატიკონი" (მიმდინარე ხმის მიხედვით) - *„ვინ არა გნატრიდეს შენ ყოვლადწმიდაო..." (ჭმა 6).*
– შესვლა საცეცხლურით - არ აღესრულება.
– წარდგომა - დღისა
–„სტიქარონსა" ზედა დასდებლები: დღესასწაულისა - 3 მუხლი, თავის ჩასართა-ვებით *(სადღესასწაულოდან).*
  „დიდება" - დიდმოწ. ეკატერინესი: „ცხოვრება უნივთო გაქუნდა და საყდარსა..." *(სადღესასწაულოდან) (ჭმა 2).*

„აწ და" - ღვთისმშობლისა „დღესასწაულისა" (ხმა 8) - *„დავით წინასწარმეტყველი..." (ჴმა 6).*

– „აწ განუტევე".
– შემდგომად „მამაო ჩვენოსი":
  ტროპარი დიდმოწ. ეკატერინესი - „ტარიგი შენი იესო ეკატერინე..." *(ჴმა 4).*
  „დიდება" - დიდმოწ. მერკურისა - „მოწამემან შენმან, უფალო, მერკური..." *(ჴმა 4).*
  „აწ და" - ტროპარი დღესასწაულისა: *„დღეს განგებულებისა..." (ჴმა 4).*

# ცისკრის ჟამნი:

– „ღმერთი უფალი" (იგალობება მე – 4 ჴმაზე).
  ტროპარი დღესასწაულისა - „დღეს განგებულებისა..." - 1 გზის *(ჴმა 4).*
  ტროპარი დიდმოწ. ეკატერინესი - „ტარიგი შენი იესო..." - 1 გზის *(ჴმა 4).*
  „დიდება" - დიდმოწ. მერკურისა - „მოწამემან შენმან, უფალო..." *(ჴმა 4).*
  „აწ და" - ტროპარი დღესასწაულისა - *„დღეს განგებულებისა..." (ჴმა 4).*
– რიგითი კანონები: მე - 16 და მე - 17.
– რიგითი კანონების შემდეგ - მცირე კვერექსები აღესრულება.
– წარდგომები შემდგომად სტიხოლოღიებისა - სადღესასწაულოდან „დიდება" „აწ და"- იგივე.
– 50 - ე ფსალმუნი.

<u>საცისკრო კანონთა 9 ოდა (გალობა)</u>

იკითხება 3 კანონი. I კანონი დღესასწაულისა, II - წმ. ეკატერინესი და III - წმ. მერკურისა.
I კანონი - 6 მუხლი დღესასწაულისა (ძლისპირით).
II კანონი - 4 მუხლი წმ. ეკატერინესი (ძლისპირის გარეშე).
III კანონი - 4 მუხლი წმ. მერკურისა (ძლისპირის გარეშე).

– კატავასია მხოლოდ III, VI, VIII და IX ოდების (გალობების) შემდგომ წმ. მერკურის კანონის ძლისპირი *(სადღესასწაულოდან).*
– „უმცირესი" – „უგალობდით უფალსა."
– შემდგომად „განძლიერდასა" (III გალობისა):
  - კონდაკი და იკოსი - დღესასწაულისა.
  - კონდაკი წმ. მერკურისა - „ბრძოლათა შინა..." *(ჴმა 4).*
  - წარდგომა წმ. ეკატერინესი - „სიძე შენი ქრისტე შეიყვარე..." *(ჴმა 4).*
  „დიდება"- წმ. მერკურისა - „მოწამემან მერკვირი იღვაწა..."
  „აწ და" - დღესასწაულისა - „დავით განუმზადე გზა ტაძრისა..."
– შემდგომად „ღაღადყავსა" (VI გალობისა):
  - კონდაკი და იკოსი წმ. ეკატერინესი.
– შემდგომად „აკურთხევდითსა" (VIII გალობისა): - „უპატიოსნესსა".
– შემდგომად „ადიდებდითსა" (IX გალობისა): - „ღირს არსი" არ იგალობება.
– „განმანათლებელი" - წმ. ეკატერინესი - „აღეტყინე სიბრძნითა, ჰოი ქალწულო დედაო ეკატერინე..." (სადღესასწაულოდან).

„დიდება" „აწ და" - დღესასწაულისა „ანგელოსთა წესნი..."
– „აქებდით უფალსა ცათაგან" - იკითხება.
– აქებდითსა ზედა დასდებელნი - 4 მუხლად
- 4 მუხლი წმ. ეკატერინესი *(I დასდებელი - 2 გზის) (ჴმა 4).*
„დიდება" - წმ. ეკატერინესი - „ცხოვრება უნივთო..." *(ჴმა 2).*
„აწდა" - დღესასწაულისა - „მოვედით დღეს კრებულნო..." *(ჴმა 6).*
– „დიდება მაღალიანი" - იკითხება.
–„აღვივსენითსა" ზედა დასდებელნი - 3 მუხლი დღესასწაულისა, თავის ჩასართავებით.
„დიდება" „აწ და" - „ბჭენო ზეცისანო..." *(ჴმა 2)*
– „კეთილ არს აღსარებად უფლისა" - 1 გზის.
ტროპარი - წმ. ეკატერინესი - „ტარიგი შენი იესო..." *(ჴმა 4).*
„დიდება" - წმ. მერკურისა - „მოწამემან შენმან უფალო, მერკვირი..." *(ჴმა 4).*
„აწ და" - დღესასწაულისა - „დღეს განგებულებისა..." *(ჴმა 4).*

# I, III და VI ჟამნებზე

– ტროპრები - დღესასწაულისა და წმიდისა (წმიდის ტროპარი მონაცვლეობით).
– კონდაკები - დღესასწაულისა და წმ. ეკატერინესი (მონაცვლეობით).

## წმ. იოანე ოქროპირის
## საღმრთო ლიტურგია

– „გამომსახველობითი ანტიფონები".
– III აღსავალზე („ნეტარებების" გალობის დროს) ჩაერთვის „მომიხსენენი" - 8 მუხლად
დღესასწაულისა - VII და VIII გალობებიდან - 4 მუხლი.
წმ. ეკატერინესი - VI გალობიდან - 4 მუხლი, თავისი „დიდება" „აწ და" - თი
„შესვლად"

ც) თუ ტაძარი მაცხოვრისა და ღვთისმშობლის სახელობისაა
ტროპრები: - ტაძრის.
-დღესასწაულისა.
-წმ. ეკატერინესი.
-წმ. მერკურისა.
კონდაკები: - ტაძრის
- წმ. ეკატერინესი.
„დიდება" - წმ. მერკურისა.
„აწ და" - დღესასწაულისა.

დ) თუ ტაძარი წმიდის სახელობისაა

ტროპრები: -დღესასწაულისა.
- ტაძრის
- წმ. ეკატერინესი.
- წმ. მერკურისა.

კონდაკები: - ტაძრის.
- წმ. მერკურისა.

„დიდება" - წმ. მერკურისა.
„აწ და" - დღესასწაულისა.

*წარდგომა, სამოციქულო, სახარება და განიცადე რიგის წმიდის და დღის.*

წარდგომა *(ჴმა 7)* – „საკვირველ არს ღმერთი წმიდათა შორის მისთა, ღმერთი ისრაელისა" *(წმიდის).*

მუხლი - „ეკლესიასა შინა აკურთხევდით ღმერთსა და უფალსა წყაროთაგან ისრაელისათა".

წარდგომა *(ჴმა 8)* - „იხარებდეს მართალი უფლისა მიმართ და იშვებდით მართალნო და იქადოდეთ ყოველნი წრფელნი გულითა" *(დღის).*

ალილუია *(ჴმა 4)* - „ხმობდეს მართალნი და უფალმან ისმინა მათი და ყოველთა ჭირთა მათთაგან იხსნა იგინი" *(დღის).*

მუხლი - „მრავალ არიან ჭირნი მართალთანი და ყოვლისავე მისგან იხსნეს იგინი უფალმან" (დღისა და წმიდის „ალილულია" ემთხვევა).

განიცადე - „იხარებდით მართალნი უფლისა მიმართ და ესევდით მას" (დღისა და წმიდის განიცადე ემთხვევა).

<u>შენიშვნა</u>: „ღირს არსის" ნაცვლად იგალობება დღესასწაულისა ჩასართავი და IX გალობის ძლისპირი.
ჩასართავი - „ანგელოზთა რა იხილეს შესვლა ყოვლადწმიდისა..."
ძლისპირი - „კიდობანსა მას სჯულისასა..."

---

2013 წელი 25 ნოემბერი სულთმოფენობიდან მე-24 შვიდეული 8 დეკემბერი

ძველი სტილით კვირა ჴმა 7 ახალი სტილი

ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაულის წარგზავნა.

## ხსენება:

მღვდელმოწ. კლიმენტი რომის პაპისა (101) და პეტრესი, ალექსანდრიელი მთავარეპ. (311); ღირ. პეტრე მდუმარისა (დაახ. 429);

ცისკ. - სახ. მე-2, მკ. 70 დას. XVI, 1-8. ლიტ. - ეფ. 221 დას. II, 14-22. ლკ. 71 დას. XIII, 10-17. ღმრთისმშობლის. - ებრ. 320 დას. IX, 1-7. ლკ. 54 დას. X, 38-42; XI, 27-28

საღამოს მსახურება: IX ჟამნი – მცირე მწუხრი.
ღამისთევის მსახურება: დიდი მწუხრი – დიდი ცისკარი – I ჟამნი.
დღის მსახურება: III ჟანმი – VI ჟანმი – საღმრთო ლიტურგია

წლის ციკლის მსახურება აღესრულება - - სადღესასწაულოდან
კვირის ციკლის - - - - - - - - - - - - - - - - - - პარაკლიტონიდან
სადღეღამისო ციკლის - - - - - - - - - - - - - ჟამნიდან

დროითი ინტერვალი: საპასექო წლის მე-2 პერიოდი.
ტიპიკონი: კვირის ღამისთევის მსახურება შეერთებული III რანგის (დიდებამაღალიანის) მსახურებასთან, დღესასწაულის წარგზავნის დღეს.
- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

# IX ჟამნი:

– ტროპარი: წმ. ეკატერინესი და წმ. მერკურისა
– კონდაკი: წმ. ეკატერინესი

# დიდი მწუხრის ჟამნი:

– „მოვედით თაყვანის-ვსცეთ” - იგალობება.
– „აკურთხევს სული ჩემი უფალსა” - იგალობება.
– „ნეტარ არს კაცი“ (I კანონის გამოკრებილი მუხლები) - იგალობება.
– „უფალო ღაღად-ვჰყავ” (იგალობება მე-7 ხმაზე).
– „უფალო ღაღად-ვჰყავ” - სა ზედა დასდებლები - 10 მუხლად:
  - აღდგომისა - 3 მუხლი *(პარაკლიტონიდან).*
  - აღმოსავლური - 1 მუხლი *(პარაკლიტონიდან).*
  - დღესასწაულის - 3 მუხლი (სადღესასწაულოდან).
  - წმ. კლიმენტის - 3 მუხლი (სადღესასწაულოდან).

„დიდება” - დღესასწაულისა: „შემდგომად შობისა მის შენისა, ტაძრად...“ *(სადღესასწაულოდან) (ხმა 8).*

„აწ და” - ღვთისმშობლისა „დოგმატიკონი” *(მიმდინარე ხმისა):* *„უაღრეს ბუნებათა დედათ იცნობე...“ (ხმა 7).*

– შესვლა საცეცხლურით.
– წარდგომა დღისა.
– „ლიტიასა ზედა დასდებელნი” - დღესასწაულისა, თავის „დიდება” „აწდა”-თი.
– „სტიქარონსა” ზედა დასდებლები: პარაკლიტონიდან - აღდგომისა 4 მუხლი (მიმდინარე ხმის), სამი ჩასართავით ჟამნიდან.

„დიდება” „აწ და” - დღესასწაულისა: *„მოვედით დღეს კრებულნო...“ (სადღესასწაულოდან) (ხმა 6).*

– „აწ განუტევე”.
– შემდგომად „მამაო ჩვენოსი”:
– „ღვთისმშობელო ქალწულო” – 3 გზის.
– პურის კურთხევა არ აღესრულება.

# დიდი ცისკრის ჟამნი:

– „ღმერთი უფალი" - (იგალობება მე - 7 ხმაზე).

ტროპარი აღდგომისა: „დახსენ ჯვარითა შენითა სიკვდილი..." *(ხმა 7)* - 2 გზის.

„დიდება" - ტროპარი წმიდისა (წმ. კლიმენტისა) (ხმა 4).

„აწ და" - ტროპარი დღესასწაულისა: *„დღეს განგებულებისა..." (ხმა 4).*

– რიგითი კანონები: მე - 2 და მე - 3.

– რიგითი კანონების შემდეგ მცირე კვერექსები - აღესრულება.

– წარდგომები შემდგომად სტიხოლოღიებისა - პარაკლიტონიდან თავისი „დიდება" „აწ და" - თი.

ჩასართავები:

- შემდგომად I სტიხოლოღიის წარდგომისა: „აღსდეგ უფალო ღმერთო ჩვენო, ამაღლდინ ხელი შენი და ნუ დაივიწყებ გლახაკთა შენთა სრულიად".
- შემდგომად II სტიხოლოღიისა წარდგომისა: „აღგიარო შენ უფალო ყოვლითა გულითა ჩემითა, და მიუთხრა მე ყოველი საკვირველებაი შენი."

– იგალობება „სადიდებელი" (მე- 19 კანონის - 134-ე და 135-ე ფსალმუნთა გამოკრებილი მუხლები).

– აღდგომის ტროპრები: „გუნდნი ანგელოზთანი განკვირდეს..." „ჰოი მოწაფენო ქრისტესნო..." და ა. შ

– იპაკო და ანტიფონები პარაკლიტონიდან.

– საცისკრო სახარება - აღდგომისა ათერთმეტთაგანი: სახ. II (მკ. 70 დას. XVI, 1-8).

– „აღდგომა ქრისტესი ვიხილეთ..."

– 50-ე ფსალმუნი.

„დიდება" - „მოციქულთა ვედრებითა..."

„აწ და" - „მეოხებითა ღვთისმშობელისათა, მოწყალეო..."

- „მიწყალე მე ღმერთო..." („მცირე მიწყალე" ).
- „აღსდგა რა იესო..."

## <u>საცისკრო კანონთა 9 ოდა (გალობა)</u>

იკითხება 2 კანონი პარაკლიტონიდან და 2 – სადღესასწაულოდან.

I კანონი - აღდგომისა *(პარაკლიტონიდან)* - ძლისპირით 4 მუხლი (ძლისპირი ერთ გზის).

II კანონი - ღვთისმშობლისა *(პარაკლიტონიდან)* - 2 მუხლი.

III კანონი - დღესასწაულისა *(სადღესასწაულოდან)* - 4 მუხლი.

IV კანონი - წმიდისა *(სადღესასწაულოდან)* - 4 მუხლი.

– კატავასია რიგითი: „ქრისტეს შობასა..."

– „უმცირესი" – „უგალობდით უფალსა."

– შემდგომად „განძლიერდასა" (III გალობისა):

- კონდაკი და იკოსი – დღესასწაულისა
- კონდაკი - წმ. კლიმენტისა - *„საღმრთოსა ვენახისა...." (ხმა 4).*
- წარდგომა წმიდისა *(სადღესასწაულოდან)* - *„აღმობრწყინდი ვითარცა მზისა შარავანდედი..." (ხმა 4).*

„დიდება“ „აწ და“ – დღესასწაულისა - *„უბიწო ტარიგი....“ (ჴმა 4).*
- შემდგომად „ღაღადყავსა“ (VI გალობისა): - კონდაკი და იკოსი - აღდგომისა *პარაკლიტონიდან (ჴმა 7).*
- შემდგომად „აკურთხევდითსა“ (VIII გალობისა): - „უპატიოსნესსა.“
- შემდგომად „ადიდებდითსა“ (IX გალობისა): - „წმიდა არს უფალი ღმერთი ჩვენი.“
- „განმანათლებელი“: - აღდგომისა ათერთმეტთაგანი, მე-2 *(პარაკლიტონიდან).*
  „დიდება“ - წმიდისა: *„დღეს ბრწყინვალე...“ (სადღესასწაულოდან).*
  „აწ და“ – დღესასწაულისა - *„რომელიცა პირველად...“ (სადღესასწაულოდან).*
- „ყოველი სული“ - იგალობება.
- „აქებდითსა“ ზედა დასდებლები: 8 მუხლად.
  - 4 მუხლი აღდგომისა *(ჴმა 7) (პარაკლიტონიდან).*
  - 4 მუხლი დღესასწაულისა (თავის ჩასართავებით) *(ჴმა 1)*
  „დიდება“ - გერი სახარებისა ათერთმეტთაგანი, მე-2 *(პარაკლიტონიდან).*
  „აწ და“ - „უმეტესად კურთხეულ ხარ შენ...“ *(ჴმა 6) - იგალობება.*
- „დიდება მაღალიანი“ - იგალობება.
- ტროპარი აღდგომისა - კენტი ხმისა.

# I, III და VI ჟამნებზე

- ტროპრები: - აღდგომისა და დღესასწაულისა.
- კონდაკი: - აღდგომისა და დღესასწაულისა (მონაცვლეობით)

# წმ. იოანე ოქროპირის
# საღმრთო ლიტურგია

- „გამომსახველობითი ანტიფონები“
- III აღსავალზე („ნეტარებების“ გალობას) ჩაერთვის „მომიხსენენი“ - 10 მუხლად.

  - 6 მუხლი - მიმდინარე ხმისა *(პარაკლიტონიდან).*
  - 4 მუხლი - დღესასწაულის IX გალობიდან, თავის „დიდება“ „აწ და“-თი.

- „შესვლად“:
  ა) თუ ტაძარი მაცხოვრის სახელობისაა:
  ტროპრები: - აღდგომისა.
  - დღესასწაულისა.
  - რიგის წმიდისა.
  კონდაკები: - აღდგომისა.
  „დიდება“ - რიგის წმიდის.
  „აწ და“ - დღესასწაულისა.

ბ) თუ ტაძარი ღვთისმშობლის სახელობისაა:

ტროპრები: - აღდგომისა.
- დღესასწაულისა.
- რიგის წმიდისა.

კონდაკები: - აღდგომისა.
**„დიდება"** - რიგის წმიდის.
**„აწ და"** - დღესასწაულისა.

გ) თუ ტაძარი წმიდის სახელობისაა:

ტროპრები: - აღდგომისა.
- დღესასწაულისა.
- რიგის წმიდის.

კონდაკები: - აღდგომისა
**„დიდება"** - რიგის წმიდის.
**„აწ და"** - დღესასწაულისა.

წარდგომა *(ჴმა 7)* - „უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით" *(აღდგომის).*

მუხლი - „შესწირევდით უფლისა შვილნი ღმრთისანი შესწირევდით უფლისა შვილთა ვერძთასა".

წარდგომა *(ჴმა 3)* - „ადიდებს სული ჩემი უფალსა და განიხარა სულმან ჩემმან ღმრთისა მიმართ მაცხოვრისა ჩემისა"*(დღესასწაულისა).*

ალილუია *(ჴმა 7)* - „კეთილ არს აღსარებად უფლისა და გალობად სახელსა შენ-სა მაღალო".

მუხლი - „მითხრობად ცისკარს წყალობა შენი და ჭეშმარიტება შენი ღამედ-ღა-მედ".

ალილუია *(ჴმა 8)* - „ისმინე ასულო და იხილე და მოყავ ყური შენი" *(დღესასწაუ-ლისა).*

მუხლი - „პირსა შენსა ლიტანიობდნენ მდიდარნი ერისანი"

განიცადე: „აქებდით უფალსა ცათაგან, აქებდით მას მაღალთა შინა".

განიცადე: „სასმელი ცხოვრებისა მოვიღოთ და სახელსა უფლისასა ვხადოთ" *(დღესასწაულისა).*

„ღირს არსის" ნაცვლად იგალობება დღესასწაულისა ჩასართავი და IX გალობის ძლისპირი.

ჩასართავი - „ანგელოზთა რა იხილეს შესვლა ყოვლადწმიდისა..."
ძლისპირი - „კიდობანსა მას სჯულისასა..."

- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -